# კავკასიის უნივერსიტეტი

## კავკასიის ეკონომიკის სკოლა

| | |
|---|---|
| **საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება** | ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა |
| **საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე** | PhD Program in Economics |
| **უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური** | დოქტორანტურა |
| **სწავლების ენა** | ინგლისური |
| **მისანიჭებელი კვალიფიკაცია, კოდი** | 0311 |
| **ქართულად:** | ეკონომიკის დოქტორი |
| **ინგლისურად:** | PhD in Economics |
| **პროგრამის დამტკიცებისა და ცვლილებ(ებ)ის თარიღები** | პროგრამა დამტკიცებულია უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანებით 25.09.2018 ცვლილებები შესულია N01/01-35 13.04.2021 და N01/01-79 30.11.2021 ბრძანებებით |
| **პროგრამის ხელმძღვანელი** | ვანო ბენიძე, დოქტორი<br>კავკასიის უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი<br>599692222; vbenidze@cu.edu.ge; |

**პროგრამის მოცულობა კრედიტების მიხედვით**

პროგრამის ოფიციალური ხანგრძლივობაა 3 წელი (6 სემესტრი). მაქსიმალური ხანგრძლივობაა 5 წელი (10 სემესტრი). ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა შედგება სასწავლო კომპონენტისა (60 ECTS კრედიტი) და კვლევითი კომპონენტისგან, რომელიც მოიცავს არანაკლებ 2 წელს (4 აკადემიური სემესტრი).

სასწავლო პროცესი აგებულია სემესტრული პრინციპით. თითოეული სასწავლო კურსი/სემინარი გრძელდება ერთი სემესტრი. სემესტრი შედგება კალენდარული კვირებისაგან.

1 ECTS კრედიტი შეესაბამება 25 სასწავლო საათს, რომელიც მოიცავს როგორც საკონტაქტო საათებს (ლექციები, სემინარები, გამოცდები და ა.შ.) ასევე დამოუკიდებელ სასწავლო საათებს.

სასწავლო კომპონენტის 60 ECTS-დან:

- 34 ECTS კრედიტი სავალდებულო სემინარებისა და მეთოდოლოგიური კურსებისთვის
- 6 ECTS კრედიტი - არჩევით სემინარებს (სტუდენტებს შეუძლიათ აირჩიონ ერთ-ერთი არჩევითი სემინარი)
- 20 ECTS კრედიტი - სავალდებულო სწავლება-ასისტირების მოდული.

კვლევის კომპონენტი მოიცავს დისერტაციას. დისერტაციის დაცვამდე დოქტორანტი ვალდებულია:

- მონაწილეობა მიიღოს სამეცნიერო კონფერენციაში სადისერტაციო თემატიკის მიმართულებით;

- დოქტორანტი ვალდებულია არანაკლებ ორი სამეცნიერო სტატია გამოქვეყნოს (ან გამოქვეყნების შესახებ თანხმობა ქონდეს). მათ შორის ერთი სტატია გამოქვეყნებული უნდა იყოს სფეროს სპეციფიკის შესაბამის უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში. გამოქვეყნებული სტატიები თემატურად დაკავშირებული უნდა იყოს დისერტაციის თემასთან.

კვლევის კომპონენტზე რეგისტრაციის შემდეგ დოქტორანტი ვალდებულია ყოველი სემესტრის ბოლოს წარმოადგინოს ანგარიში შესრულებული სამუშაოს შესახებ წინასწარ განსაზღვრული ფორმების მიხედვით.

## პროგრამაზე დაშვების წინაპირობები*

**კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:**

- ✓ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ნოტარიულად დამოწმებული ასლი. აპლიკანტს დასრულებული უნდა ჰქონდეს აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა.
- ✓ დიპლომის დანართის/ნიშნების ფურცლის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
- ✓ მინიმუმ B2 დონის ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი ან ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), *სხვა შემთხვევაში კონკურსანტი ვალდებულია ჩააბაროს ეკონომიკის სკოლის B2 დონის მისაღები გამოცდა ინგლისურ ენაში;*
- ✓ კანდიდატის კვლევით ინტერესებთან თანმხვედრი კვლევითი თეზისი ინგლისურ ენაზე;
- ✓ შესაბამის სფეროში წინარე პუბლიკაციები ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობა ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება;
- ✓ ორი სარეკომენდაციო წერილი ინგლისურ ენაზე;
- ✓ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ✓ მიწერის მოწმობის ან სამხედრო ბილეთის ასლი მამაკაცებისათვის (სამხედრო ვალდებულისათვის);
- ✓ ფოტოსურათი დაბეჭდილი და დისკზე ჩაწერილი;
- ✓ რეზიუმე (CV) ქართულ და ინგლისურ ენაზე.
- ✓ კონკურსანტი ვალდებულია ჩააბაროს ეკონომიკის სკოლის მისაღები გამოცდა მათემატიკაში.
- ✓ კავკასიის ეკონომიკის სკოლის მიმღებ კომისიასთან გასაუბრების წარმატებით გავლა.

* მიღების ვადები მტკიცდება მიმღები კომისიის მიერ და ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

## სწავლებისა და სწავლის მეთოდები

- ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი;
- წერითი მუშაობის მეთოდი;
- დისკუსია/დებატები;
- ჯგუფური მუშაობა;
- თანამშრომლობითი სწავლება;
- ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი;
- ახსნა–განმარტებითი მეთოდი;
- ელექტრონული სწავლება.

# პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

| | |
|---|---|
| **პროგრამის მიზანი** | • პროგრამის მიზანია, მოამზადოს მკვლევარი, რომელსაც ექნება თეორიული და ანალიტიკური უნარ-ჩვევები დაგეგმოს და ჩაატროს დამოუკიდებელი კვლევა ეკონომიკის მიმართულებით.<br><br>• პროგრამა ორიენტირებულია მოამზადოს მკვლევარი მაკროეკონომიკის მიმართულებით და ამასთანავე პროგრამის მიზანია კურსდამთავრებული ფლობდეს სრულფასოვან ცოდნას მიკროეკონომიკის დარგში.<br><br>• პროგრამა ორიენტირებულია კურსდამთავრებულმა შეძლოს ინტელექტუალურ საქმიანობაში ჩართვა და სხვადასხვა აკადემიური ნამუშევრის ანალიზი და შეფასება.<br><br>• პროგრამის მიზანია დოქტორანტი იცნობდეს კვლევის ეთიკურ ნორმებს და იყოს ჩართული პროფესიულ საქმიანობაში. |
| **პროგრამის სწავლის შედეგები** | 1. კურსდამთავრებული იყენებს ეკონომიკის დარგში არსებულ თეორიულ, ანალიტიკურ და მეთოდოლოგიურ მიდგომებს, რომელიც საშუალებას აძლევს მას აწარმოოს საპუბლიკაციო დონის კვლევა. კურსდამთავრებული ეფექტურად ეცნობა ეკონომიკის დარგში არსებულ უახლეს მიღწევებსა და გამოწვევებს.<br>2. კურსდამთავრებული დამოუკიდებლად აყალიბებს საკვლევ თემებს, იყენებს თეორიულ და ემპირიულ მეთოდებს ეკონომიკური ანალიზის ჩასატარებლად, დამოუკიდებლად გეგმავს და ახორციელებს კვლევით პროექტებს. კურსდამთავრებული ეფექტურად იყენებს ეკონომიკური ანალიზის უნარს ცხოვრებისეულ სიტუაციებში ეკონომიკური საკითხებისა და ეკონომიკური პოლიტიკის გასაანალიზებლად.<br>3. კურსდამთავრებული კრიტიკულად აანალიზებს არსებულ ეკონომიკურ ლიტერატურს, ამოიცნობს შესაძლო გამოწვევებს და იყენებს ამ ინფორმაციას სადისკუსიო და საკვლევი საკითხის წამოსაჭრელად.<br>4. კურსდამთავრებული წარმატებულად წარადგენს საკუთარ კვლევას სხვა მკვლევართა და საზოგადოების წინაშე, როგორც ზეპირსიტყვიერად, ასევე წერილობითი ფორმით.<br>5. კურსდამთავრებული ეფექტურად მონაწილეობს უცხო ენაზე საერთაშორისო სამეცნიერო დონეზე გამართულ თემატურ პოლემიკაში.<br>6. უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, კურსდამთავრებული ავითარებს ახალ მიგნებებსა და იდეებს.<br>7. კურსდამთავრებული წარმატებით იყენებს მიღებულ ცოდნას ცხოვრებისეული ეკონომიკური სიტუაციების ანალიზისათვის. |
| **დასაქმების სფეროები** | პროგრამის კურსდამთავრებულის დასაქმების სფეროებია:<br>⇒ საგანმანათლებლო დაწესებულებები,<br>⇒ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები,<br>⇒ ანალიტიკური კვლევითი ცენტრები,<br>⇒ ცენტრალური ბანკები და ეკონომიკის სამინისტროები,<br>⇒ სახელმწიფო და კერძო სექტორის ანალიტიკური და კვლევითი დეპარტამენტები,<br>⇒ კერძო კომპანიების მაღალი რგოლის მენეჯერული პოზიციები. |

# სასწავლო გეგმა

| № | საგნის კოდი | წინაპირობა | სტატუსი | საგანი/მოდული | წელი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | I | | II | | III | |
| | | | | | ECTS კრედიტი | | | | | |
| | | | | | I სემესტრი | II სემესტრი | III სემესტრი | IV სემესტრი | V სემესტრი | VI სემესტრი |
| 1. | SIWR 6111e | NA | სავალდებულო | სამეცნიერო წერის მეთოდოლოგია | 6 | | | | | |
| 2. | TEME 6112e | NA | სავალდებულო | სწავლების მეთოდოლოგია | 2 | | | | | |
| 3. | REDE 6121e | SIWR 6111e | სავალდებულო | კვლევის დიზაინი | | 4 | | | | |
| 4. | SEM 6113e | NA | სავალდებულო | მაკროეკონომიკის თეორია | 6 | | | | | |
| 5. | SEM 6122e | SEM 6113e | არჩევითი | მონეტარული თეორია და პოლიტიკა | | 6* | | | | |
| 6. | SEM 6123e | REME 6114e | არჩევითი | შრომის ეკონომიკა | | | | | | |
| 7. | REME 6114e | NA | სავალდებულო | ეკონომეტრიკა | 6 | | | | | |
| 8. | REME 6124e | SEM 6113e | სავალდებულო | მაკროეკონომიკის თემები და საკითხები | | 6 | | | | |
| 9. | SEM 6125e | NA | სავალდებულო | მიკროეკონომიკის თეორია | | 4 | | | | |
| 10. | TEAS 6126e | TEME 6112e | სავალდებულო | ასისტირება | | 2 | | | | |
| 11. | TRPR 5211e | TEME 6112e, REDE 6121e | სავალდებულო | სწავლება - ასისტირება | | | 6 | | | |
| 12. | TRPR 5221e | TEME 6112e REDE 6121e | სავალდებულო | სწავლება - ასისტირება | | | | 6 | | |
| 13. | TRPR 5222e | TEME 6112e REDE 6121e | სავალდებულო | კვლევითი- ასისტირება | | | | | 6 | |
| 14. | DISS 6321e | ყველა საგანი და კონფერენციაში მონაწილეობა | სავალდებულო | დისერტაცია | | | X | X | X | X |

* შენიშვნა: *მეორე სემესტრში წარმოდგენილი ორი არჩევითი სემინარიდან დოქტორანტი ირჩევს ერთ-ერთს.*